ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავჯდომარე

ბრძანება:**ბ49.49210882**

თარიღი:**29/03/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა)

უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, 41-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 156-ე მუხლის მე-5 ნაწილის, ასევე **,,**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 სექტემბრის №62-ე დადგენილებისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-16 მუხლის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) **2021 წლის მარტის თვეში** უფლებამოსილების შესრულებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების მიზნით დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა სია (თან ერთვის).

2. დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, მოახდინოს თანხის გაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

3.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს-- კობა გურეშიძეს.

4 .ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5 .ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ.№11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი